დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 13 მარტის №63 ბრძანებით

დოკუმენტში ცვლილებეი განხორციელდა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 10 სექტემბრის № 243, 2020 წლის 19 სექტემბრის № 261, 2021 წლის 20 იანვრის №189, 2021 წლის 29 იანვრის №414, 2022 წლის 29 ნოემბრის №139459, 2023 წლის 1 მაისის №13990 ბრძანებებით

პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები

2020

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. დოკუმენტის მიზანი 3

მუხლი 3. პლაგიატის სახეები 3

მუხლი 4. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები 4

მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები 5

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები 8

დანართი №1 - სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში 9

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებერე დოკუმენტი აწესრიგებს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.

2. დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალსა და სტუდენტებზე.

3. ამ დოკუმენტის მიზნებისთვის სტუდენტი არის ნებისმიერი პირი, რომელიც სწავლობს უნივერსიტეტში და იღებს შესაბამის საგანმანათლებლო მომსახურებას (ამ დოკუმენტის მიზნებისთვის სტუდენტად განიხილება ასევე მასწავლებლის მომზადების ერთწლიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირიც).

მუხლი 2. დოკუმენტის მიზანი

დოკუმენტის მიზანია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, უნივერსიტეტში პლაგიატის აღმოსაჩენად ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა და პლაგიატის პრევენცია.

მუხლი 3. პლაგიატის სახეები[1]

პლაგიატის სახეებია:

ა) პირდაპირი პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს სხვისი ნამუშევრის, იდეის, ფორმულის, გრაფიკის, დიაგრამის და ა.შ. მითვისებას შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე;

ბ) თვითპლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ საკუთარი ძველი ნამუშევრის ახლად წარმოჩენას (წყაროს მითითების გარეშე);

გ) მოზაიკური პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ რამდენიმე ავტორის ფრაზების/ტექსტური ამონარიდების კომპილაციას და მის გამოყენებას წყაროს მითითების გარეშე. მოზაიკური პლაგიატის დროს, ნაშრომის ბოლოს

[1] https://www.turnitin.com/resources/plagiarism-spectrum-2-0

მითითებულია ავტორი, მაგრამ ტექსტის კითხვისას შეუძლებელია გარჩევა, სად სრულდება ნაწერის ავტორის ორიგინალური მოსაზრება და სად არის ჩასმული სხვა ავტორების მოსაზრებები;

დ) პარაფრაზირებული პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ ავტორის შექმნილ ნამუშევარში გამოყენებული სიტყვების ჩანაცვლებას სინონიმებით, ისე რომ ტექსტის ძირითადი სტრუქტურა და შინაარსი არ იცვლება (წყაროს მითითების გარეშე);

ე) პლაგიატი დაუდევრობით - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ ავტორების ან წყაროების მითითებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამორჩენას ან არასწორად მითითებას დაუდევრობის გამო.

ვ) ტექსტის პროგრამული მოდიფიკაცია - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ ტექსტის სხვადასხვა პროგრამის მეშვეობით დამუშავებას (მაგ. ე.წ. text spinner, ტექსტის თარგმნის ონლაინ პროგრამები, ა.შ.) პლაგიატის ამომცნობი პროგრამის მიერ პლაგიატის აღმოჩენის თავიდან არიდების მიზნით.

ზ) კომპიუტერული კოდების პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ კომპიუტერული კოდების პირდაპირ კოპირებას ან შეცვლას მათი ავტორის ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

თ) წყაროზე დაფუძნებული პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ წყაროების შესახებ არასრული ან არასწორი ინფორმაციის მითითებას, რაც მათ მოძიებას შეუძლებელს ხდის.

ი) მონაცემთა პლაგიატი - პლაგიატის აღნიშნული სახე გულისხმობს პირის მიერ მონაცემების გაყალბებას ან მათი ხელოვნურად შექმნას და აღნიშნული ქმედებით მკვლევრის, ინსტიტუტის ან გამომცემლობის რეპუტაციის საფრთხის წინაშე დაყენებას.

მუხლი 4. პლაგიატის თავიდან აცილების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები

უნივერსიტეტი პლაგიატის პრევენციის მიზნით ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

ა) ნერგავს აკადემიური წერის კულტურას;

ბ) აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისთვის მართავს საინფორმაციო შეხვედრებს პლაგიატთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით და აცნობს მათ პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს;

გ) პლაგიატის პრევენციის მიზნით გეგმავს სხვადასხვა სახის კამპანიას;

დ) იყენებს Turnitin-ის (ტურნიტინი) ელექტრონულ პროგრამას;

ე) უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განათავსებს ინფორმაციას/ინსტრუქციებს პლაგიატის პრევენციის შესახებ.

მუხლი 5. პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები

1. ამ წესით დადგენილია პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები, როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალისთვის.

2. სტუდენტების შემთხვევაში პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების მექანიზმები ეხება, როგორც სასწავლო კურსით გათვალისწინებულ წერით დავალებას, ასევე საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს და სტუდენტურ/სამეცნიერო კონფერენციებსა და უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელ მასალას.

3. ლექტორი ვალდებულია შესაბამისი სილაბუსით განსაზღვრულ იმ წერით დავალებაში (მაგალითად: რეფერატი, პროექტი და ა.შ.), რომლითაც გათვალისწინებულია წყაროს მითითების აუცილებლობა, სტუდენტის ნამუშევარი შეამოწმოს პლაგიატის პროგრამაზე. პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ხდება სტუდენტის წერითი ნაშრომის განულება. ლექტორი ვალდებულია სტუდენტს მისცეს შესაბამისი უკუკავშირი. სტუდენტი უფლებამოსილია, გაასაჩივროს ლექტორის გადაწყვეტილება ნაშრომის განულების შესახებ. საჩივრის განხილვა ხდება უნივერსიტეტის ,,ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსის“ შესაბამისად.

4. პერსონალი, რომლის სასწავლო კურსში გათვალისწინებულია წერითი დავალება წყაროს მითითების აუცილებლობით, ვალდებულია ყოველი სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ წარუდგინოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს ანგარიში

სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების შესახებ. ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმით (დანართი №1) პერსონალის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას აწვდის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშში მოცემული ინფორმაციის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში აწვდის უკუკავშირს ფაკულტეტის დეკანს.

5. უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ შესრულებულ საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომში პლაგიატის ნიშნების აღმოჩენა ხდება შემდეგი მექანიზმების საშუალებით:

ა) ელექტრონული პროგრამა Turnitini - ის (ტურნიტინი) მეშვეობით ხდება ნაშრომის ტექსტის შედარება პროგრამის რეპოზიტორში, სამეცნიერო ჟურნალებსა და ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ სხვა ნაშრომებთან. შემოწმების შედეგად პროგრამა უზრუნველყოფს ანგარიშის შედგენას, სადაც მოცემულია შესამოწმებელი ნაშრომის სხვა მასალებთან მსგავსება. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებთანაც შესამოწმებელი დოკუმენტი ამჟღავნებს მსგავსებას. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების პროცესში, შესაბამისი ნაშრომის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს Turnitin-ის (ტურნიტინი) ელექტრონული სისტემის საშუალებით სტუდენტის ნაშრომის გადამოწმებას. ნაშრომის ფარგლებში, აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფაქტების დადგენის შემთხვევაში, ნაშრომი ეგზავნება სტუდენტს ხელახალი გადამუშავებისთვის ნაშრომის ჩასაბარებლად განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

ბ) დასრულებული საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის Turnitin-ის (ტურნიტინი) ელექტრონულ პროგრამაში გადამოწმების შემდეგ, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი წარმოადგენს საბოლოო დასკვნას წერილობითი ფორმით.

6. იმ შემთხვევაში, თუ პლაგიატის ნიშნები აღმოჩნდება კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, დისციპლინური კომისია დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე შეისწავლის საკითხს. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის გაუქმების შესახებ.

7. სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომი/სტატია ექვემდებარება Turnitin - ის (ტურნიტინი) ელექტრონულ პროგრამაში გადამოწმებას შესაბამისი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ. პლაგიატის დადასტურებისას, პასუხისმგებელი პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს აღნიშნული საკითხის განსახილველად. საკითხი განიხილება უნივერსიტეტის „ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსის“ შესაბამისად.

8. აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომში, პლაგიატის ნიშნების აღმოჩენა ხდება შემდეგი მექანიზმების საშუალებით:

ა) ელექტრონული პროგრამის Turnitin-ის (ტურნიტინი) მეშვეობით პლაგიატის აღმოჩენა, რომელიც შემოწმების შედეგად ადგენს ანგარიშს, სადაც მოცემულია შესამოწმებელი ნაშრომის სხვა მასალებთან მსგავსება. ანგარიში მოიცავს ინფორმაციას იმ დოკუმენტების შესახებ, რომლებთანაც შესამოწმებელი დოკუმენტი ამჟღავნებს მსგავსებას.

ბ) Turnitin-ის (ტურნიტინი) მეშვეობით შემოწმების შემდეგ, ხდება სამეცნიერო ნაშრომის ორმაგი ფარული რეცენზირება შემდეგი წესების დაცვით:

ბ.ა) ნაშრომის რეზიუმე ეგზავნება რეცენზენტს;

ბ.ბ) რეცენზენტს არ აქვს ინფორმაცია ვის ნაშრომს ამოწმებს;

ბ.გ) სამეცნიერო ნაშრომის ავტორს არ აქვს ინფორმაცია, ვინ შეიძლება იყოს მისი ნაშრომის რეცენზენტი.

გ) სამეცნიერო კონფერენციების, უნივერსიტეტის სამეცნიერო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი მასალის Turnitin - ის ელექტრონულ პროგრამაში გადამოწმებას ახორციელებს შესაბამისი აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტს. საკითხი განიხილება დადგენილი წესის შესაბამისად.

9. აკადემიური სიყალბის სხვა ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, დამრღვევი პირის მიმართ დისციპლინური პაუხისმგებლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის „ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსისა“ და „შინაგანაწესის“ შესაბამისად.

10. ამ მუხლით გათვალიწინებულ ყველა შემთხვევაში, პლაგიატის აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, შეაფასოს Turnitin-ის პროგრამით გამოვლენილი თანხვედრა და მიიღოს გადაწყვეტილება პლაგიატის ნიშნების არსებობის შესახებ ამ წესით დადგენილი პლაგიატის სახეების გათვალისწინებით.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება რექტორის სამართლებრივი აქტით.

2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №1

სტუდენტთა წერილობითი ნამუშევრების პლაგიატის პროგრამაში გადამოწმებისა და რეაგირების ანგარიში

ფაკულტეტი: _____

აკადემიური წელი: _____

სემესტრი: _____

სასწავლო კურსი	განმახორციელებელი პერსონალი	პლაგიატის პროგრამაზე შემოწმებული წერითი დავალება	პლაგიატის პროგრამაზე შემოწმებული სტუდენტების რაოდენობა	პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევების რაოდენობა	რეაგირება *(აღწერეთ თითოეულ შემთხვევაზე რეაგირება)*	სტუდენტების მიერ გასაჩივრების შემთხვევები	გასაჩივრების შემთხვევებზე რეაგირებები, საბოლოო შედეგები

დეკანის ხელმოწერა: _____

თარიღი: _____